ნინო ორჯონიკიძე, მაია ახვლედიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Nino.orjonikidze@atsu.edu.ge maia.akhvlediani@atsu.edu.ge
orcid: 0000-0003-3602-9561, orcid: 0000-0001-8190-6071
ლალი აბდალაძე
შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი
ზუგდიდი, საქართველო
abdaladzelali@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.51

სასწავლო დაწესებულებათა და მშობლების ერთობლივი მუშაობის ფორმები და მნიშვნელობა ბავშვთა ჰარმონიული განვითარებისათვის

საკვანძო სიტყვები: თანამშრომლობა, პედაგოგიზაცია, ჯანმრთელობა, ურთიერთნდობა, პატივისცემა.

ბავშვთა ჰარმონიული განვითარება წარმოადგენს კომპლექსურ და მრავალმხრივ პროცესს, რომელიც მოითხოვს სასწავლო დაწესებულებებისა და მშობლების სინერგიულ მონაწილეობას. სკოლები წარმოადგენენ სტრუქტურულ გარემოს კოგნიტური, სოციალური და ზნეობრივი განვითარებისათვის, მაშინ როდესაც მშობლები ემოციური ინტელექტის, ეთიკური პრინციპებისა და პიროვნული იდენტობის ფორმირებას უწყობს ხელს. ამ ორი სფეროს ინტეგრაცია ქმნის კომპლექსურ ჩარჩოს, რომელიც ბავშვის ოპტიმალურ განვითარებას ეხმარება ფორმალური განვითარებისა და ოჯახური ხელმძღვანელობის შესაბამისობით. განვიხილოთ მიზნის მისაღწევად საჭირო თანამშრომლობის ფორმები.

სასწავლო დაწესებულებებსა და მშობლებს შორის თანამშრომლობა ხასიათდება მრავალმხრივი ურთიერთობის მოდელებით, როგორიცაა მშობელ-მასწავლებელთა დინამიკური პარტნიორობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება და საზოგადოებრივ მოთხოვნებზე დაფუძნებული მონაწილეობის ინიციატივები. ეს ხელს უწყობს აკადემიური, ქცევით და სოციალური პროგრესის შესახებ ინფორმაციის გაცვლას, რაც ქმნის ინტეერვენციის სტრატეგიებს ბავშვის კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად. დამატებით, ციფრული კომუნიკაციით პლატფორმებისა და მრავალდისციპლინური ვორგშოფების დანერგვა აძლიერებს თანამშრომლობის ეფექტიანობას, უზრუნველყოფს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ინსტრუმენტებს სკოლებისა და ოჯახების სინერგიის გასამყარებლად.

დაწესებულებებისა და ოჯახების ერთობლივი მუშაობისათვის საჭიროა მშობელი დამკვირვებლის როლში კი არ იყოს, არამედ გვევლინებოდეს შეხვედრების, ღონისძიებების, სპორტული თამაშობების, სპექტაკლების თუ გამოფენების თანამონაწილედ, რაც ხელს შეუწყობს მათ გააკეთონ თვითანალიზი საკუთარ პედაგოგიურ შესაძლებლობებზე, ხოლო ბავშვებში გამოიწვიოს კმაყოფილების დაცულობის

მთლიანობის განცდა, ოჯახში კი დადებითი განწყობა, წევრებს შორის თანამშრომლობით ურთიერთობას, ბავშვებისა და დიდების ერთობლივი ინტერესებისა და მიზნების დაგეგმვასა და მიღწევას.

მშობლებისა და მასწავლებლების ურთიერთობა მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული, თუ ის დაფუძნებულია ურთიერთნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე. მხოლოდ ამის საფუძველზეა შესაძლებელი ბავშვის უკეთ გაცნობა, მისი მრავალმხრივი შესწავლა, უნარებისა და შესაძლებლობების შეფასება, განვითარების თვალისმიდევნება, დახმარება, ნეგატიური ქცევების აღმოსაფხვრელად, სიძნელეების გადასალახავად, ხელშეწყობა წარმატებისაკენ, ცხოვრების ღირებულებების სწორად ჩამოყალიბებისათვის.

პედაგოგის პირდაპირი მოვალეობაა თითოეულ მოსწავლის ოჯახთან ურთიერთობის დამყარება. მას კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ მოზარდის ჰარმონიული განვითარებისათვის კარგად უნდა იყოს დაორგანიზებული- მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის ერთობა. სამწუხაროდ,ზოგიერთი ოჯახი არ არის მზად ასეთი ურთიერთობისათვის, თუმცა პედაგოგმა უნდა გამოიჩინოს ნებისყოფა და ყველა ხერხი იხმაროს შედეგზე გასასვლელად და დაგეგემოს დღესასწაულები, სპექტაკლების ორგანიზება, შეჯიბრებებზე კონკურსები, სხვადასხვა თამაშობები, ყველაზე სპორტული ოჯახი, მუსიკალური ოჯახები, საოჯახო ალბომების კონკურსი და ა.შ.

შრომითი საქმიანობის ფორმები: კლასის, კაბინეტების მოწყობა, ეზოების კეთილმოწყობა და გამწვანება, ბიბლიოთეკის მოწყობა - შევსება, სხვადასხვა ხასიათის გამოფენების მოწყობა (ოქროსფერი შემოდგომა).

სასწავლო ღონისძიებების ფორმები: ოლიმპიადები, ცოდნის ზეიმი.

მასწავლებელმა ამ ღონისძიებების ორგანიზების დროს მშობლებს უნდა სთხოვოს დახმარება გაფორმებისათვის, პირობების მოფიქრებაში, მსაჯობის გაწევაში, შესთავაზოს მშობლებისა და ბავშვებისაგან შემდგარი ,,შერეული“ ჯგუფების შექმნა მათ შორის შეჯიბრებების მოწყობა...

ყოველივე ეს კი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი მშობლებთან პირველსავე შეხვედრაზე გააჟღერებს თანამშრომლობის აუცილებლობას, ხაზს გაუსვამს მის მნიშვნელობას მათივე შვილების ინტერესებისათვის, გააცნობს მთლიანად სკოლის ინტერესს ოჯახებთან ჯანსაღი ურთიერთობისა და მხარდაჭერისათვის. შემდეგ კი სისტემატიურად მოახდენს ამ ურთიერთობების მხარდაჭერას, რაშიდაც მას დაეხმარება საკლასო შეხვედრები, საუბრები აღნიშნულ საკითხებზე არაფორმალურ გარემოში.

თანამშრომლობის მნიშვნელობა: ემპირიული მონაცემები ნათლად წარმოაჩენს მშობელთა და დაწესებულებათა თანამშრომლობის კრიტიკულ გავლენას ბავშვთა ჰოლისტიკურ განვითარებაზე. ასეთი პარტნიორობა ხელს უწყობს კოგნიტურ პროცესებს, სოციალურ - ემოციურ სტაბილურობას და ადაპტურ უნარებს, რომლებიც აუცილებელია საზოგადოების რთულ სტრუქტურებში ნავიგაციისათვის.

გარდა ამისა, ერთობლივი ძალისხმევა ამცირებს განვითარების დისბალანსს, ქმნის შეკრულ დ მხარდამჭერ გარემოს განვითარებისათვის. აგვარად, სასწავლო და მშობლიური ძალისხმევის სისტემური ინტეგრაცია მნიშვნელოვან სტრატეგიად გვევლინება ჯანსაღი პიროვნების ფორმირებისთვის.

განსაკუთრებით დაწყებით კლასებში ბავშვების გავითარების, სწავლისა და აღზრდისათვის ხელსაყრელი პირობები შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაში თუ

იარსებებს მჭირდო ურთიერთობა ამ ორ სოციალურ ინსტიტუტს - სასწავლებელსა და ოჯახს შორის.

ა. ს. მაკარენკოს თვალსაზრისით სანამ მასწავლებლები მშობლებს ადანაშაულებენ ცუდი აღზრდის გამო, ხოლო მშობლები მასწავლებლებს თავიანთი შვილების წარუმატებლობის მიზეზად თვლიან, აღზრდის შედეგები ვარ იქნება ეფექტური. მატმა უნდა გააერთიანონ ძალისხმევა და უზრუნველყონ ბავშვთა დაცვა, ემოციური კომფორტი, საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრება ოჯახსა და სკოლაში. თუ რომელიმე მხარე ბავსვის ცხოვრებაში მომხდარი სხვადასხვა ცვლილებების გამო შეწყვეტს მათზე ზრუნვასა და მონაწილეობას და მხარს არ დაუჭერს სირთულეების გადაჭრაში, შეიძლება დადგეს სამწუხარო შედეგები, რაც პირდაპირ აისახება პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

მასწავლებლებისა და მშობლების მიზანი ერთიანი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი სივრცის შექმნა უნდა იყოს. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია შემდეგი პრობლემების გადაჭრა:

- პედაგოგიური განათლებით მშობლების ცოდნის დონის სისტემატიური ამაღლება;
- მშობელთა ინტერესის ამაღლება შვილებთან ერთად სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობისათვის;
- ოჯახებსა და სკოლის თანამშრომლებს შორის ურთიერთნდობასა და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა, რომელიც გულისხმობს არა მარტო ჯანსაღ კრიტიკას, არამედ მასწავლებლის ავტორიტეტის განმტკიცებას ოჯახში, ხოლო მშობლებისას - სკოლაში.

ლიტერატურა:

1. Зверева О. Л., Кротова Т. Б., *Взаимодействие педагога и родителями*. М. 2010.
2. Горшенина Б. Б., *Система школьной работы по вопросам семейного воспитания*. Волгоград, «Панорама», (2020).
3. Маркова Т.А., Детский сад и семья / под ред.– М.: Просвещение, 1986.
2. Рунова М.А., Двигательная активность ребенка в детском саду: Пособие для педагогов дошкольных учреждений. – М.: Мозайка-Синтез, 2000.
3. Радионова Т. П., Здоровьесберегающие технологии в ДОУ: методич. пособие. – М, ТЦ Сфера, 2007. https://infourok.ru/zdorovesberegayushie-tehnologii-v-dou-5187517.html
4. Халетова С.С., и др. Основы здорового образа жизни. – Йошкар-Ола, 1997.
5. Вавилова Е.Н., Развитие основных движений у детей 3-7 лет. Система работы. – М., 2007.
6. Соловьева Н.И., Чаленко И.А., Здоровый образ жизни. Сценарии спортивно-театрализованных праздников. – М.: «Школьная Пресса», 2008.

Nino Orjonikidze, Maia Akhvlediani
Akaki Tsereteli State university
Kutaisi, Georgia
Nino.orjonikidze@atsu.edu.ge maia.akhvlediani@atsu.edu.ge
orcid: 0000-0003-3602-9561, orcid: 0000-0001-8190-6071
Lali Abdaladze
Zugdidi,Shota Meskhia State teaching University
Zugdidi, Georgia
abdaladzelali@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.51

Forms and Significance of Collaboration Between Educational Institutions and Parents for the Harmonious Upbringing of Children

Abstract

The harmonious development of children is a complex and multifaceted process that requires the synergistic involvement of both educational institutions and parents. Educational institutions provide a structured environment for cognitive, social, and moral development, while parents contribute to the formation of emotional intelligence, ethical principles, and personal identity. The integration of these two spheres creates a comprehensive framework that fosters the optimal development of a child.

Collaboration between educational institutions and parents is characterized by various models of interaction, such as dynamic parent-teacher partnerships, the development of individualized learning plans, and community-driven participation initiatives. These approaches facilitate the exchange of information regarding academic, behavioral, and social progress and help establish intervention strategies tailored to the needs of each child.

Empirical data clearly demonstrate the critical impact of parental and institutional cooperation on children's holistic development. Such partnerships enhance cognitive progress, social-emotional stability, and adaptive skills essential for navigating the complexities of modern society. Furthermore, joint efforts mitigate developmental imbalances and create a cohesive and supportive environment for children. Thus, the systematic integration of educational and parental efforts emerges as a crucial strategy for shaping an individual's growth.

This article consists of two parts, and the current section focuses on the forms and significance of collaborative efforts at the preschool and primary school levels.

In recent years, teachers have increasingly sought to inform parents about children's challenges and achievements. The relationship between families and educational institutions will only be beneficial if they become like-minded partners, share aligned interests, plan together, and actively participate in the implementation of each aspect.

The article examines extracurricular (holidays, concerts, competitions, contests, Mother's Day, "Most Athletic Family," etc.), educational (subject competitions, knowledge celebrations, talent shows, Olympiads, family reading contests, etc.), and labor-based (classroom decoration, yard beautification, tree planting, library enrichment, etc.) forms of collaboration.

To achieve all of this, teachers must be able to unite and integrate students' families into a cohesive whole.

Keywords: health, mutual agreement, consistency, support, experience